ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

ხუთშაბათი, 29 სექტემბერი, 2016 №231 (7157) ფასი: 50 თეთრი

**საააკაშვილი: „არჩევნებს ჩავატარებთ მშვიდად და ივანიშვილი ვერაფერს არევს“**



გვ.3

29 სექტემბრიდან

ჩემი პირველი სიტყვები

სკოლა

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი



# ივანიშვილმა „ოცნებას“ 1 მილიონი ასესხა



გვ.4



როგორც „ოცნებაში“ ამბობენ, 4 წლის წინ ივანიშვილმა მაჟორიტარების კანდიდატებსაც გაუწია ფინანსური დახმარება. თანხის გადაცემიდან 2 კვირის შემდეგ პარტიაში რაღაც შეკრება გაიმართა და კანდიდატების უმეტესობა ახლად შეძენილი მანქანებით, ძირითადად ჯიპებით გამოცხადდა, რამაც „ოცნების“ მამა ძალიან გააბრაზა.

## ზურაბ ჯაფარიძე: „პაატა ბურჭულაძე „გირჩისგან“ მილიონებს ითხოვდა“

ლევან ხაბეიშვილი: „ეს ტყუილია“







პაატა ბურჭულაძე: „ზურაბ ჯაფარიძეს დარჩენა შევთავაზე“

გვ.2



## „ნაციონალებს გადატრიალების თავი არ აქვთ“

გვ.3



ათასი და ორი ათასი კაცის მისვლა საპროტესტო აქციაზე არაფერს ნიშნავს, მაგრამ ამას ხომ ხედავთ, რამხელა მნიშვნელობას ანიჭებენ, თითქოს ასი ათასი კაცი მიეყვანოთ. ეს ათასი კაცი სრულიად არაფერს ნიშნავს. თვითონაც მშვენივრად იციან, რომ არ არსებობს საფუძველი და ბაზა იმისთვის, რომ სახელმწიფო გადატრიალება მოხდეს, ისევე, როგორც ეს მოხდა 2003 წელს.

ISSN 1987-9385

## მამუკა ტუსკაძე: „ვითხოვთ ნაცმოძრაობის აკრძალვას“

მორგში მკვდრებს ჭრიდნენ. შინაგან ორგანოებგამოცლილი მიჰყავდა პატრონს. პატიმრებს ოპერაციას ნარკოზის გარეშე უკეთებდნენ. ხალხი კიოდა. იმ ჯალათური სისტემის წარმომადგენლებს ახლა რევოლუციის მოწყობა უნდათ.

გვ.4





„ყველას სიმშვიდისკენ მოვუწოდებთ“

გვ.2

## საპატრიარქო: „რომის პაპი საქართველოში ილია II-ის მოწვევით ჩამოდის“



ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ზურაბ ჯაფარიძე: „პაატა ბურჭულაძე „გირჩისგან“ მილიონებს ითხოვდა“

შორენა მარსაგიშვილი

პაატა ბურჭულაძის საარჩევნო ბლოკის გარშემო სკანდალები არ ცხრება. არჩევნებამდე 11 დღით ადრე, 27 სექტემბერს, ბლოკი „გირჩებმა“ დატოვეს. „გირჩებისგან“ გაწმენდის გადაწყვეტილება პაატა ბურჭულაძეს მიუღია, რომელსაც სარწმუნო წყარომ აცნობა, „გირჩები“ ივანიშვილთან თანამშრომლობენ.

ბლოკის განგირჩვის გამო საჭირო გახდა საარჩევნო სიის შეცვლა. სიიდან ხალხის ამოღების ბოლო ვადა 28 სექტემბრის 18.00 საათამდე ჰქონდათ პარტიებს.

– ბლოკმა საარჩევნო სიიდან ხუთი კანდიდატის ამორიცხვა მოითხოვა. ესენი არიან: ვახტანგ მეგრელიშვილი, იაგო ხვიჩია, გიორგი მელაძე, ზურაბ ჯაფარიძე, ნინო დარსაველიძე. საკუთარი კანდიდატურები მოხსნეს იმ მაჟორიტარების კანდიდატებმა, რომლებიც „გირჩს“ წარმოადგენდნენ. ეს მათი პირადი გადაწყვეტილება იყო და ამას ვერ მივესალმები, – აღნიშნა „ახალ თაობასთან“ საუბარში საარჩევნო ბლოკის ერთ-ერთმა ლიდერმა ლევან ხაბეიშვილმა.

გავრცელებული ინფორმაციით, ბურჭულაძის ბლოკიდან ვაშაძე და მისი პარტიის წევრებიც უნდა წასულიყვნენ. მოლოდინმა არ გაამართლა და „ახალი საქართველო“ ბლოკში დარჩა.

– დღეს მთავარი საკითხია, რა ფორმატში ვაგრძელებთ ბრძოლას, ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია ერთიანობა და ერთიანი ძალებით ბრძოლა. ჩვენს გაერთიანებაში არის გუნდი, რომელსაც აქვს კონკრეტული ხედვა, თუ როგორ უნდა განვითარდეს ჩვენი ქვეყანა, რათა დავამარცხოთ სიღარიბე. რაც ყველაზე მთავარია, გვყავს ადამიანური რესურსი იმისთვის, რომ ეს ყველაფერი გააკეთოს.

სწორედ აქედან გამომდინარე, მე მივიღე გადაწყვეტილება. ჩემს თანაგუნდელებთან ერთად ვაგრძელებთ ბრძოლას საარჩევნო ბლოკის სახით, – განაცხადა გიორგი ვაშაძემ საგანგებო ბრიფინგზე.

კონკრეტულ გეგმაზე, სტრატეგიასა და ხედვებზე საუბრობს მისი თანამებრძოლი ლევან ხაბეიშვილი. ის ამბობს, რომ ამ გუნდში თავისუფლად გრძნობს თავს.

– მე მაქვს ჩემი პრინციპები და ვერასდროს ვიქნები მხოლოდ პულტის დამჭერი დეპუტატი. ამ გუნდთან ერთად პარლამენტში შესვლის შემდეგ ამ პრობლემის წინაშე ნამდვილად არ დავდგები, – აღნიშნავს ხაბეიშვილი.

საარჩევნო ბლოკში მომხდარი ბოლო განხეთქილების გამო ის ძალიან შეწუხებულია. ამბობს, რომ ბევრი რამე იცის, მაგრამ ამ ეტაპზე არ ისაუბრებს.

სამაგიეროდ, ბევრს საუბრობენ „გირჩები“. ჯერ ნაციონალების, ხოლო შემდეგ ბურჭულაძის უარმყოფელი ზურაბ ჯაფარიძე ამბობს, რომ მათ პაატა ბურჭულაძემ ერთი მილიონის მიტანა მოსთხოვა.

– მილიონზე მეტი იყო თანხა, რომელსაც ბურჭულაძე „გირჩისგან“ ითხოვდა. რამდენიმე მილიონზე იყო საუბარი. საიდან უნდა მიმეტანა მე ეს თანხა ერთ საათში? ჩემთვის ეს სრულიად მოულოდნელი იყო, ეგეთ საკითხებში ზოგადად ჩახედული არ ვიყავი. ჩემი ურთიერთობა ამ პარტიასთან შემოიფარგლებოდა იმით, რომ მე ვიყავი პასუხისმგებელი, ვინც პროგრამას აჯერებდა და მათ შორის ეკონომიკურ, სოციალურ ნაწილში ვიყავი ჩართული. ჩემი ნაწილი იყო კიდევ პაატა ბურჭულაძის გამოსვლები ეკონომიკურ ნაწილში.

## ლევან ხაბეიშვილი: „ეს ტყუილია“



რატომ ითხოვდა ეს ადამიანი ფულს, ჩემი აზრით, მიზეზი მარტივია. ამ ადამიანს რეალურად არ აქვს ინტერესი, რომ ქვეყანაში რამე შეცვალოს. ამ ადამიანმა შეძლო და საკუთარი იმიჯი და რეპუტაცია, რომელიც ჰქონდა, გარდაქმნა პოლიტიკურ კაპიტალად და, როგორც ჩანს, ამ პოლიტიკურ კაპიტალს ახურდავებს ფულში, – განაცხადა ჯაფარიძემ.

ამ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფს ლევან ხაბეიშვილი.

– რაც შეეხება დაფინანსებას და გაშვებას და მსგავს ბოდვას, ეს არის სისულელე და არის მოგონილი. ამას რეალობასთან კავშირი არ აქვს. ზურაბ ჯაფარიძეს დიდ პატივს ვცემ, ის თავისი საქმის ნამდვილი პროფესიონალია, ამიტომ ყველანაირად ვცდილობ, მასზე ცუდი არაფერი ვთქვა. ერთი რამე მინდა იცოდეთ – ბურჭულაძემ მას სთხოვა, რომ დარჩენილიყო, – ამბობს ხაბეიშვილი.

ჯაფარიძეს რომ დარჩენა სთხოვა, ამაზე თავად ბურჭულაძემაც ისაუბრა. მისი თქმით, იქ კიდევ სხვა ამბავიც იყო, რისი დაკონკრეტებაც მან არ ისურვა.

– არჩევნებამდე დარჩა 10 დღე. ყველას უნდა, რომ ყურადღება სხვა თემაზე გადაიტანოს. ჩვენ ძალიან სერიოზული საქმე გვაქვს წინ. ჩვენ უნდა დავამხოთ ეს რეჟიმი, რომელმაც შექმნა დღეს ამდენი გაჭირვებული ადამიანი, – განაცხადა პაატა ბურჭულაძემ.

მან უარი თქვა იმ ადამიანის დასახელებაზე, ვისგანაც გაიგო, რომ „გირჩს“ ივანიშვილი აფინანსებდა.

– დაკმაყოფილდით იმით, რასაც გეუბნებით. ეს გადაწყვეტილება მე მივიღე. ეს არიან ჩემი მეგობრები. ჩვენ დავსხედით ერთად, ვისაუბრეთ და გადავწყვიტეთ, რომ ამაზე მეტი ინფორმაციის გაცემა არ არის საჭირო. როდესაც იყო საუბარი, რომ ისინი უნდა ამომეწერა სიიდან, ბატონ ზურაბს ვუთხარი, გთხოვ, დარჩე-მეთქი. თქვენნაირი სპეციალისტი ჩვენ გვჭირდება-თქო. ის თუ ამას შანტაჟად მიიჩნევს, ეს ყოფილა



## პაატა ბურჭულაძე: „ზურაბ ჯაფარიძეს დარჩენა შევთავაზე“

შანტაჟი, – განაცხადა ბ-მა ბურჭულაძემ.

ზურაბ ჯაფარიძის ინფორმაციით, პაატა ბურჭულაძე თანამშრომლებს ხელფასს ვერ უხდიდა და თავად ამ დროს 60.000 ჰქონდა ხელფასი.

ლევან ხაბეიშვილი ამ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფს.

– ეს ინფორმაცია არის ტყუილი. პაატა ბურჭულაძე არც ერთ თეთრს არ იღებს პარტიიდან ხელფასის სახით. ასეთი ტყუილის გავრცელება არ შეიძლება, – ამბობს ხაბეიშვილი.

ის კიდევ ერთხელ ეხება დაფინანსების თემას. ამბობს, რომ როდესაც ბლოკი შეიქმნა, დაფინანსებაზეც მიიღეს გადაწყვეტილება.

– ბლოკში 4 პარტია გაწევრიანდა და, შესაბამისად, ოთხივეს უნდა გვეზრუნა მასზე როგორც ფინანსურად, ასევე ადამიანური რესურსებით, – აღნიშნავს ბურჭულაძის საარჩევნო ბლოკის ერთ-ერთი ლიდერი.

ის დარწმუნებულია, რომ ამ დღეებში მათ საარჩევნო ბლოკს კიდევ ბევრი უსიამოვნო სი-





## „გირჩი“ წავიდა, ვაშაძე დარჩა

ურპრიზი ელოდება.

– არჩევნებამდე 9 დღე დარჩა მხოლოდ. აშკარაა, რომ დიდი გაწამაწია გველოდება. ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ კიდევ ბევრ სიურპრიზს მოგვიწყობენ. ყველაფრისთვის მზად ვართ, – აღნიშნავს ხაბეიშვილი.

მისი განცხადებით, მათი ბლოკის წინააღმდეგ ბრძოლაში ნაციონალები და „ქართული ოცნება“ გაერთიანდნენ.

– ორივემ დაინახა, რომ ჩვენ ვართ სერიოზული ძალა. ისინი ხვდებიან, რომ ჩვენ მათ არჩევნებზე სერიოზულ პრობლემებს შევუქმნით – ამომრჩეველს წავართმევთ. ამიტომაც გაერთიანდნენ და ყველანაირი მეთოდებით გვებრძვიან, – აცხადებს პაატა ბურჭულაძის თანამებრძოლი.

ბლოკის დატოვებას აპირებდნენ მემარჯვენეებიც. ეს ინფორმაცია კატეგორიულად უარყო მამუკა კაციტაძემ.

ბლოკის გარშემო შექმნილი ვითარება მას არ უკვირს. კაციტაძის თქმით, ოპოზიციას ებრძვიან და ეს მას წლების განმავლობაში გადაუტანია. კაციტაძე აცხადებს, რომ ეს პარტიას აძლიერებს.

– ჩვენ უნდა გავძლიერდეთ ყველანი ამ ბოლო 10 დღის განმავლობაში. კიდევ გავიმეორებ, რაც აქამდეც მითქვამს: ელვარება ლომფერი იქნება 9 ოქტომბერს, – განაცხადა მან.

პაატა ბურჭულაძის პარტიის ყოფილი წევრი, გიორგი რუხაძე, აცხადებს, რომ ბურჭულაძის პარტია და მისი საპარლამენტო სია გაყიდვის ობიექტი იყო.

– ადგილები, რომლისგანაც ბურჭულაძე ახლა ადამიანების ამოყრას ცდილობს, გაიყიდა. ეს პროცესები მიდის იმიტომ, რომ ფინანსური დახმარება იქნებოდა ეს თუ მხარდაჭერა, ნაწილობრივ მიიღო, – აღნიშნა გიორგი რუხაძემ.

◆ ◆ ◆

„გირჩები“ ამ არჩევნებზე თამაშგარე მდგომარეობაში იქნებიან, არადა ერთი წლის წინ დიდი გეგმები ჰქონდათ. მათ დაფინანსებასთან დაკავშირებით კი ბევრჯერ დაისვა კითხვები. ნაციონალები მათ თავიდანვე უკავშირებდნენ ბიძინა ივანიშვილს. მერე ითქვა, რომ „გირჩებს“ ცეზარ ჩოჩელი აფინანსებდა.

„გირჩთაგან“ ორმა ლიდერმა გოგა ხაჩიძემ და პავლე კუბლაშვილმა რამდენიმე თვის წინ თქვეს, რომ პოლიტიკიდან წავიდოდნენ. რამდენიმე დღის წინ კი ითქვა, რომ ზურაბ ჯაფარიძეს ბიძინა ივანიშვილმა რაღაც სერიოზული შესთავაზა.

# საპატრიარქო: „რომის პაპი საქართველოში ილია II-ის მოწვევით ჩამოდის“

## „ყველას სიმშვიდისკენ მოვუწოდებთ“



საპატრიარქო აცხადებს, რომ რომის პაპი საქართველოში მისი უწმინდესობის მოწვევით ჩამოდის და ყველას სიმშვიდისკენ მოუწოდებს.

ამის შესახებ საუბარია საპატრიარქოს მიერ გუშინ, 28 სექტემბერს, გავრცელებულ განცხადებაში.

– როგორც ცნობილია, საქართველოს პრეზიდენტის და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოწვევით, ა.წ. 30 სექტემბერს ჩვენს ქვეყანას ესტუმრება მისი უწმინდესობა, რომის პაპი ფრანცისკე I, თანმხლებ პირებთან ერთად. საქართველოს საპატრიარქო პატივისცემით მიესალმება სტუმარს და იმედოვნებს, რომ მისი ჩამოსვლა ხელს შეუწყობს მრავალმხრივი ურთიერთობების გაღრმავებას და რეგიონში მშვიდობის განმტკიცებას, – ნათქვამია განცხადებაში.

საპატრიარქოს ყოვლად მიუღებლად მიაჩნია ამ ოფიციალურ ვიზიტთან დაკავშირებით საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ზოგიერთი სასულიერო პირის მიერ საჯარო სივრცეში დაფიქსირებული მკვეთრად უარყოფითი განცხადებები.

– მათაც და საერთოდ ყველას მოვუწოდებთ სიმშვიდისაკენ, – აღნიშნულია განცხადებაში.

საპატრიარქოში მიუთითებენ, რომ ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიასა და რომის კათოლიკურ ეკლესიას შორის შუა საუკუნეებიდან შეწყვეტილია ლოცვით-ევქარისტული კავშირი და ვიდრე არსებობს დოგმატური სხვაობები, საეკლესიო სამართლის მიხედვით, მართლმადიდებელი მორწმუნეები არ იღებენ მონაწილეობას მათ მსახურებაში.

– ბუნებრივია, პაპი მესას კათოლიკებისთვის ატარებს და ეს არ შეიძლება ჩაითვალოს პროზელიტიზმის გამოვლინებად, როგორც ამას ზოგიერთები მიიჩნევენ, – ნათქვამია საპატრიარქოს განცხადებაში.



ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ნაციონალებს გადატრიალების თავი არ აქვთ“

ნონა ცაბაძე

პროკურატურა ექსპერტიზას ნიშნავს, რათა გაირკვეს, აუდიოჩანაწერში არსებული ხმები ეკუთვნის თუ არა ნაციონალური მოძრაობის წევრებს. დადგება თუ არა ნაცმოძრაობის ლიდერების პასუხისმგებლობის საკითხი, თუკი ჩანაწერის ავთენტურობა დადასტურდა? დაიწყება თუ არა სამართლებრივი დევნა? „ახალი თაობის ამ და სხვა კითხვებს იურისტი, უფლებადამცველი გელა ნიკოლაიშვილი პასუხობს.

***– ბატონო გელა, პროკურატურა აუდიოჩანაწერზე ექსპერტიზას ნიშნავს, თუკი დადასტურდა ავთენტურობა, რამდენად უნდა დაიწყოს სისხლის სამართლებრივი დევნა იმ პირებზე, ვინც ქვეყანაში გადატრიალებას და არეულობას გეგმავს?***

– თუკი დადასტურდა ეს, ყველა შემთხვევაში მოხდება სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყება! გააჩნია, ჩვენ ამ შემთხვევაში რა სტანდარტს ვიღებთ.

***– სტანდარტში რას გულისხმობთ?***

– იმ სტანდარტით, რითიც ნაციონალური მოძრაობა მუშაობდა, არა თუ სამართლებრივი დევნა დაიწყებოდა, არამედ აღნიშნული პირები უკვე დიდი ხანია დაკავებულები იქნებოდნენ და შეიძლება უკვე გასამართლებულებიც. ჩვენ კარგად გვახსოვს, ირაკლი ბათიაშვილი რა მტკიცებულების საფუძველზე დააკავეს, გაასამართლეს და მიუსაჯეს ხანგრძლივი, 7 წლიანი პატიმრობა. ჩვენ გვახსოვს ე.წ. გიორგაძის მომხრეების საქმე, რა მტკიცებულებებზე მოხდა მათი დაკავება და გასამართლება. იქ არათუ რაიმე ჩანაწერი არსებობდა, ირაკლი ბათიაშვილი მხოლოდ იმ სიტყვისთვის – გამაგრდით – ჩათვალეს სახელმწიფო გადატრიალების ინტელექტუალურ მხარდამჭერად. ხოლო გიორგაძის მომხრეების შემთხვევაში, საერთოდ შეგზავნილი 5 ადამიანის ურთიერთსაწინააღმდეგო მონათხრობია. აქედან გამომდინარე, თუ ამ სტანდარტებით ვიმსჯელებთ, სისხლის სამართლის საქმე უდავოდ აღიძვრება.

***– ამჟამინდელი სტანდარტები ხომ სხვაგვარია, რა იქნება ამ შემთხვევაში?***

– თუ მართლაც ობიექტური და სამართლიანი სტანდარტებით ვიმსჯელებთ, ბრალის წაყენებისთვის ეს მასალა საკმარისია, მაგრამ რამდენად საკმარისი იქნება გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისთვის, ვერ გეტყვით.

***– ამისთვის რა არის საჭირო?***

– ამისთვის საჭიროა დამატებითი მტკიცებულებების მოპოვება, დაკითხვები. ვიმეორებ, სანამ არ არის ჩატარებული ექსპერტიზა, ეს მონაწილენი, როგორც ვიცით, უარყოფენ კატეგორიულად, არ არის გამორიცხული, რომ მართლაც იყოს რაღაცა ხელოვნურად შეკოწიწებული, თუმცა ხმები მათი რომ არის, ამას არ უარყოფენ.



***– სააკაშვილმა უნიჭო მონტაჟი უწოდა ყოველივე ამას.***

– ეს თუ მონტაჟია, ნიჭიერია, უნიჭოა, ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, ეს თუ მონტაჟია, ეს იქნება ჰაერში ფუჭი გასროლა და ძალიან რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდება პროკურატურა. თუმცა პროკურატურას ასეთ შემთხვევაში შეუძლია თქვას, ჩვენ რა შუაში ვართ, ჩვენ ხომ არ ჩაგვიწერია, ჩვენ მოვიპოვეთ, გამოძიება დავიწყეთ და თუკი იქნება ექსპერტიზის დასკვნა იმისი, რომ ეს არის მონტაჟი, აქ უკვე ყველაფერი დასრულდება.

***– და თუ არ არის მონტაჟი?***

– თუ არ არის მონტაჟი, ეს უკვე ბრალის წაყენების საფუძველი არის. თუმცა ბრალის წაყენების შემდეგ არის მთელი რიგი პროცედურები. ჯერ უნდა იყოს დასაბუთებული ვარაუდი, უნდა იყოს ალბათობის მაღალი ხარისხი, რომ ამ ადამიანებმა ჩაიდინეს ეს დანაშაული და ბოლოს განაჩენისთვის, უკვე უნდა დაიდოს უტყუარი მტკიცებულებები. ამ ბოლო სტადიისთვის საკმაოდ სერიოზული მტკიცებულებების შეგროვება იქნება საჭირო. ხოლო ამ ყველაფრის დასაწყებად უნდა დადასტურდეს ექსპერტიზის მიერ, რომ ეს არ არის მონტაჟი და ეს არის ავთენტური.

***– არჩევნების წინ ვის ინტერესში შედის ასეთი აჟიოტაჟის ატეხვა, საზოგადოების დაძაბვა, ხელისუფლების თუ ნაციონალური მოძრაობის? ან არის სააკაშვილი საქართველოში ჩამომსვლელი და ამ ყველაფრის გამკეთებელი?***

– რა თქმა უნდა, არა! თუმცა პოლიტიკოსის მოხერხება და მისი დონე გამოიხატება იმაში, რომ კონკრეტული შემთხვევები და კონკრეტული მოვლენები გამოიყენოს თავის სასარგებლოდ. ამას ცდილობს ერთი მხარეც და მეორე მხარეც. მე იმასაც არ გამოვრიცხავ, რომ ეს ვიღაც სულ სხვა პირის ატვირთულია, რომელსაც აჟიოტაჟის ატეხვა უნდა.

დღეს ამის ტექნიკური საშუალებები არსებობს, ვიკილიქსი არავითარი სახელმწიფო დაწესებულება არ არის და მას აქვს ისეთი ტექნიკური საშუალებები, რომ ლამის სახელმწიფოს მეთაურებსაც უსმენენ. თუ ადამიანი ამ ტექნიკურ საშუალებებში კარგადაა გაცნობიერებული, მას თავისუფლად შეუძლია მოუსმინოს ყოველგვარი სუსის და კუდის გარეშე! ვნახოთ, ამ ჩანაწერს ვინ როგორ გამოიყენებს. ხომ ვხედავთ, ნაციონალები რა დღეში არიან, რა განცხადებებს აკეთებენ.

***– ივანიშვილი გასაქცევად ემზადება და ასე შემდეგო?***

– დიახ. მე მახსენდება 2012 წლის არჩევნები, სადაც ნაციონალები ასევე დამაჯერებლად საუბრობდნენ. მათ ერთი წუთით არ დაუშვიათ, ვინმეს ეჭვი შეპარვოდა, რომ ისინი მოიგებდნენ არჩევნებს. თუმცა ცოტა ხნის წინ სააკაშვილმა თქვა ერთ-ერთ სატელევიზიო შოუში, ვიცოდი, რომ იმ არჩევნებს წავაგებდიო. ანუ მათ წინასწარ იცოდნენ, რომ წააგებდნენ, თუმცა დამაჯერებლად ლაპარაკობდნენ, გავიმარჯვებთო.

***– დღეს რა სიტუაციაა?***

– დღესაც იგივე სიტუაციაა. დღესაც იციან, რომ წააგებენ. ათასი და ორი ათასი კაცის მისვლა საპროტესტო აქციაზე არაფერს ნიშნავს, მაგრამ ამას ხომ ხედავთ, რამხელა მნიშვნელობას ანიჭებენ, თითქოს ასი ათასი კაცი მიეყვანოთ. ეს ათასი კაცი სრულიად არაფერს ნიშნავს. თვითონაც მშვენივრად იციან, რომ არ არსებობს საფუძველი და ბაზა იმისთვის, რომ სახელმწიფო გადატრიალება მოხდეს, ისევე, როგორც ეს მოხდა 2003 წელს.

***– სახელმწიფო გადატრიალების არა, მაგრამ დესტაბილიზაციის საფრთხე რამდენად არის?***

– ცალკეული კერები დესტაბილიზაციის შეიძლება შეიქმნას, მაგრამ აქ უნდა იყოჩაღონ სამართალდამცავმა ორგანოებმა და კანონიერების ფარგლებში მოახერხონ ამის აღკვეთა. სააკაშვილი უკვე აცხადებს, სიმართლეს რუსთავი 2-ის ეგზიტპოლები ასახავსო, ანუ რასაც ჩვენ ვიტყვით, ის იქნება სიმართლე და თუ ეს ცესკოში არ დადასტურდა, უნდა მოვახდინოთ გადატრიალებაო, მათ ენაზე რევოლუცია. ეს არ გამოუვათ. მათ ამის არანაირი რესურსი არ გააჩნიათ – არც ადამიანური და არც პოლიტიკური!

## გია ვოლსკი: „პაატა ბურჭულაძე ენაჭარტალა გახდა“

– პაატა ბურჭულაძემ ის იმიჯი, რაც ჰქონდა, ორ დღეში დაკარგა და გახდა პოლიტიკოსი, რომელიც ჭორაობს და აჭარტალებს ენას.

ასეთ შეფასებას „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი გია ვოლსკი აკეთებს.

– მე არ მომწონს არც „გირჩი“ და არც პაატა ბურჭულაძე. პაატა ბურჭულაძემ ჩემი სკოლა დაამთავრა, ორი კლასით წინ იყო. ბავშვობაშიც ისეთი მსუბუქი, თუმცა მაშინ უფრო საყვარელი ადამიანი იყო. ახლა როგორც კი პოლიტიკოსობა გადაწყვიტა, თითქოს თავის გარემოში არ არის და რაღაც დავალებით მოქმედებს, – აღნიშნა ბ-მა ვოლსკიმ.

მას ბუნებრივ პროცესად მიაჩნია ბურჭულაძის ბლოკში მომხდარი დაპირისპირება.

– შთაბეჭდილება მრჩება, რომ „გირჩი“, გიორგი ვაშაძე ნაციონალური მოძრაობის ნიშაში შეიჭრნენ, მაგრამ მათ ქარიზმატული ლიდერი აკლდათ. ეს ვერც ერთმა ვერ „გაქაჩა“. პაატა ბურჭულაძე ერთ დღეში მათ ლიდერად მოგვევლინა ისე, რომ თავისიანებსაც არაფერი ჰკითხა. იმათაც („გირჩი“, გიორგი ვაშაძე) თავიანთი ამბიციები აქვთ, თუნდაც გიორგი ვაშაძის ნაციონალურ მოძრაობასთან დაპირისპირება მაშინ მოხდა, როცა მის პოლიტიკურ იერარქიის ადგილზე იყო მსჯელობა.

ზურაბ ჯაფარიძესაც თავისი რეიტინგი ჰქონდა – ჰგონია, რომ დიდი პოლიტიკოსი და ეკონომისტია, პავლე კუბლაშვილი მსოფლიოში ყველაზე დიდი იურისტია, ხოლო პაატა, რომელმაც არც იურისპრუდენცია იცის, არც ეკონომიკა ესმის და არც პოლიტიკა, უცებ ამათი უფროსი გახდა. რასაკვირველია, ეს შიგნით დაპირისპირებას გამოიწვევდა, – განაცხადა ვოლსკიმ.

დეპუტატმა მიხეილ სააკაშვილზეც ისაუბრა.

ვოლკის თქმით, ჯერ კიდევ 2014 წლის ინტერვიუებში სააკაშვილი რევოლუციურ გზასა და ბიძინა ივანიშვილის დამხობაზე საუბრობს.



ინტერპრესნიუსის კითხვაზე, მოსალოდნელ რევოლუციასა და დესტაბილიზაციის შექმნაზე საუბარი ხომ არ ემსგავსება პოლიტიკურ სპეკულაციებს იმ ფონზე, როცა ამის შესახებ ინფორმაციისა და შესაბამისი მასალების წყარო არა სათანადო სახელმწიფო უწყებები, არამედ სოციალური ქსელით გავრცელებული ფარული ჩანაწერებია, ვოლსკიმ განაცხადა, რომ ინფორმაციის გავრცელების ფორმა საკითხის მთავარ არსს არ ცვლის.

– მე რომ გამოვიდე და აქაურობა დავლეწო, თუკი ეს გამოძიების მიერ არ იქნება ნათქვამი შესაბამისი ფორმით, ეს პოლიტიკურ სპეკულაციას დაემსგავსება?! მე იმ დღესვე უნდა დამიჭირონ და თუკი ამის საშუალება არსებობს, გამასამართლონ, – განაცხადა გია ვოლსკიმ.

მან ხაზი გაუსვა, რომ სრულ ინფორმაციაზე წვდომა არ აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს.

– გავრცელებული აუდიოჩანაწერი შესაბამისი ორგანოებისგან მეტ განმარტებას ითხოვს და დაწყებული გამოძიება სწრაფად და ეფექტიანად უნდა ჩატარდეს, – აღნიშნა დეპუტატმა.

**ინტერპრესნიუსი**

## კახა კალაძე: „არჩევნების დღეს რუსთავი 2 გაყალბებულ ეგზიტპოლს გამოაქვეყნებს“

### „ნათელაშვილი სააკაშვილის შექმნილია“

– მოვისმინეთ ძალიან მძიმე შინაარსის განცხადებები გაკოტრებული პოლიტიკური გუნდის ლიდერებისგან.

ამის შესახებ „ქართული ოცნების“ გენერალურმა მდივანმა კახა კალაძემ გამოქვეყნებული ჩანაწერების საკითხზე კომენტირებისას განაცხადა.

კახა კალაძის თქმით, ჯერ უნდა დადგინდეს ჩანაწერის ავთენტურობა, თუმცა ოპონენტ ლიდერებს უკვე ავთენტურობაც დადგენილი აქვთ და ექსპერტობაც შეთავსებული.

– რა თქმა უნდა, გამოძიება უნდა ჩატარდეს. დადგინდეს ავთენტურობა, თუმცა ოპონენტებიდან გარკვეულ ლიდერებს უკვე ავთენტურობაც დადგენილი აქვთ, ექსპერტობაც შეთავსებული. აქ არის საუბარი გადატრიალების შესახებ, აქ არის საუბარი კონკრეტული ტელევიზიის, რუსთავი 2-ის შესახებ, რაც ძალიან მძიმეა, – აღნიშნა ბ-მა კალაძემ.

მისი აზრით, რუსთავი 2 გაყალბებულ ეგზიტპოლს გამოაქვეყნებს, რომელსაც ჩაატარებენ თარხნიშვილი და მისი ცოლი.

– კვლევაში იქნება მოცემული პარტიების რეიტინგები, სადაც ალბათ ნაციონალური მოძრაობა გაუსწრებს „ქართულ ოცნებას“ ან შეიძლება ცოტათი „ქართულმა ოცნებამ“ გაუსწროს. ისინი ტელევიზიის საშუალებით ეცდებიან თქვან, რომ არჩევნები გაყალბდა. ეს არის სრული სურათი ნაციონალური მოძრაობის ჩანაფიქრის, – ივარაუდა კახა კალაძემ.

მისი თქმით, გამოძიება დაწყებულია, რომელიც დაადგენს ჩანაწერის ავთენტურობას, ვინ გაავრცელა და როგორ გაავრცელა.



რამდენად შესაძლებელია დესტაბილიზაციის მცდელობა ჰქონდეს სხვა ძალებს, მაგალითად, ლეიბორისტულ პარტიას?

ამ კითხვაზე პასუხისას ბ-მა კალაძემ განაცხადა, რომ შალვა ნათელაშვილი და მისი გუნდი ნაციონალური მოძრაობის სატელიტები არიან, თუმცა ხაზი გაუსვა, რომ ისინი გავრცელებულ ჩანაწერში არ ფიგურირებენ.

– შალვა ნათელაშვილი ზოგადად არის მიხეილ სააკაშვილის სატელიტი, ის შექმნილია სააკაშვილის მიერ. ფინანსდება ნაციონალური მოძრაობისგან, აქვს მაქსიმალური მხარდაჭერა ტელეკომპანია რუსთავი 2-ის მხრიდან. თუმცა, რაც შეეხება მის მონაწილეობას გადატრიალებაში, იმ საუბრებში, რაც იყო გავრცელებული, ნათელაშვილი არ ფიგურირებს, – აღნიშნა კახა კალაძემ.

**ინტერპრესნიუსი**

## სააკაშვილი: „არჩევნებს ჩავატარებთ მშვიდად და ივანიშვილი ვერაფერს არევს“



– ყველაფერი მიდის ივანიშვილის გარდაუვალი მარცხისკენ, ხელისუფლების ხავერდოვანი ჩანაცვლებისკენ, რომელ არეულობაზე და გადატრიალებაზე ლაპარაკობს ეს ხალხი, აქ სერიოზული საქმით ვარ დაკავებული და არა – კონსპირაციებით.

ამის შესახებ ოდესის ოლქის გუბერნატორმა მიხეილ სააკაშვილმა მის ფეისბუქის გვერდზე გავრცელებულ ვიდეომიმართვაში განაცხადა.

როგორც სააკაშვილმა აღნიშნა, ამ არჩევნებს ნაციონალური მოძრაობა იგებს და ამაზე მეტყველებს ყველა გამოკითხვა.

– ცოლ-შვილი გავუშვი საქართველოში, სანდრა არჩევნებში კენჭს იყრის. ჩვენ ამ არჩევნებს ვიგებთ მშვიდად, წყნარად, აუღელვებლად, უეჭველად და ყველა გამოკითხვა ამაზე მეტყველებს.

თუკი რამე რევოლუციური უნდა მოხდეს საქართველოში, ეს იქნება არჩევნების შემდეგ. ეს იქნება რევოლუციური გაუმჯობესება სოციალური სტანდარტების და ხალხის ცხოვრების დონის. ეს იქნება რევოლუციური სასამართლო რეფორმა, ეს იქნება რევოლუციური გაადვილება ბიზნესისთვის საქმიანობის, ეს იქნება რევოლუციური განათლების რეფორმა. მართლაც, ამ რეფორმებს რევოლუციურად ჩვენ გავატარებთ, – განაცხადა ყოფილმა პრეზიდენტმა.

მან თქვა, რომ არჩევნები ჩატარდება მშვიდად და ივანიშვილი ვერაფერს არევს.

– ერთი სული მაქვს, როდის გავაგრძელებთ საქართველოში აღმშენებლობას, პროგრესს და განვითარებას საქართველოს თითოეული მოქალაქის საკეთილდღეოდ, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა ვიდეომიმართვაში.

**ინტერპრესნიუსი**

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# ივანიშვილმა „ოცნებას“ 1 მილიონი ასესხა

შორენა მარსაგიშვილი





„ქართულ ოცნებას“ ბიძინა ივანიშვილის ფინანსური დახმარება დასჭირდა. მმართველმა გუნდმა, რომელიც მომავალ პარლამენტში უმრავლესობით აპირებს მოსვლას, პირველი მოქალაქისგან ფული ისესხა.

გუშინ ცნობილი გახდა, რომ გაჭირვებაში მყოფმა „ქართულმა ოცნებამ“ ბიძინა ივანიშვილის ბანკისგან 2016 წლის 14 სექტემბერს 1 მილიონი ისესხა, რის ჩასესხებასაც არჩევნების დამთავრების შემდეგ სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსებით აპირებს.

სესხის უზრუნველყოფად საქართველოს საარჩევნო კოდექსის 56-ე მუხლის პირველი ნაწილია მითითებული.

ამ მუხლის თანახმად, საარჩევნო სუბიექტი, რომელიც საპარლამენტო არჩევნებში მიიღებს პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებულ არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 5%-ს ან მეტს, ხოლო საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში მიიღებს არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 10%-ს ან მეტს, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ერთჯერადად მიიღებს არაუმეტეს 1 მილიონ ლარს არჩევნების ორივე ტურში საარჩევნო კამპანიისას გაწეული ხარჯების დასაფარავად.

რისთვის აიღო სესხი „ქართულმა ოცნებამ“ „ქართუ ბანკისგან“, უცნობია.

„ოცნებას“ ფინანსურად რომ არ ულხინს, ამაზე არაერთხელ ითქვა. ზაფხულში მათ კოორდინატორებს რამდენჯერმე დაუგვიანეს ხელფასი. მაჟორიტარებად ნაციონალების კალთაგამოვლილი ბიზნესმენების წარდგენაც ფინანსური სიდუხჭირის გამო მოხდა.

კანდიდატებს პირდაპირ უთხრეს, რომ საკუთარ საარჩევნო კამპანიას თავად დააფინანსებდნენ.

არადა 4 წლის წინ არც „ქართულ ოცნებას“ და არც მასთან ერთად ერთ ბლოკში გაერთიანებულ პარტიებს მსგავსი პრობლემა არ ჰქონდათ. ბიძინა ივანიშვილმა ყველა პარტიას თითო მილიონი აჩუქა. არაოფიციალურადაც ბევრჯერ დაეხმარა.

როგორც „ოცნებაში“ ამბობენ, 4 წლის წინ ივანიშვილმა მაჟორიტარების კანდიდატებსაც გაუწია ფინანსური დახმარება. თანხის გადაცემიდან 2 კვირის შემდეგ პარტიაში რაღაც შეკრება გაიმართა და კანდიდატების უმეტესობა ახლად შეძენილი მანქანებით, ძირითადად ჯიპებით გამოცხადდა, რამაც „ოცნების“ მამა ძალიან გააბრაზა.

ამის შემდეგ მან დაფინანსება თითქმის შეწყვიტა და თანაპარტიელებს ძირითადად ანალიზით ეხმარებოდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ, პარტიის მსგავსად, მისი ვალი დეპუტატებს და მინისტრებსაც აქვთ. მოვალეთა შორის არის მთავრობის მეთაური და „ოცნების“ სიის პირველი ნომერი გიორგი კვირიკაშვილი.

◆ ◆ ◆

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ოცნება“ ვალის დაფარვას ნაარჩევნებს აპირებს, როდესაც ბიუჯეტიდან მილიონს 5%-იანი ბარიერის გადალახვის შემდეგ მიიღებს. სასწაული თუ მოხდა და „ოცნებამ“ ეს ბარიერი ვერ გადალახა, საინტერესოა, როგორ გადაიხდის ვალს, ან დეპუტატობის რომელ კანდიდატს დაიტოვებს ივანიშვილი ვალის სანაცვლოდ.

# მამუკა ტუსკაძე: „ვითხოვთ ნაცმოძრაობის აკრძალვას“

გულიკო ბალაძე

**საკაშვილის ხელისუფლების დროინდელი უკანონო პატიმარი, ადვოკატი მამუკა ტუსკაძე (მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი გლდანში „პატრიოტთა ალიანსიდან“) აცხადებს, რომ ნაციონალებს ისევ სისხლი სწყურიათ და ამიტომ უნდათ რევოლუცია და ძალაუფლების ხელში აღება.**

***– ბატონო მამუკა, ვრცელდება ინფორმაციები, რომ ნაცმოძრაობა რევოლუციის მოწყობას აპირებს, ვრცელდება ჩანაწერებიც. როგორია თქვენი შეფასება?***

– დიახ, გავრცელდა ინფორმაცია, რომ საკაშვილი და მისი ხროვა გეგმავდა სახელმწიფო გადატრიალებას. ისევ სისხლი სწყურიათ, ხალხო, ისევ ადამიანების ნეკნებზე და სიცოცხლის ფასად უნდათ ძალაუფლება აიღონ ხელში.

***– აქამდე აცხადებდნენ, რომ გაიაზრეს შეცდომები.***

– გამორიცხულია. მათ უნდათ, ხალხი ისევ რომ დაამონონ. ძალაუფლება ხალხზე ზეწოლისთვის უნდათ.

***– თქვენ ნაცმოძრაობის აკრძალვას ითხოვთ, ახლა ეს რამდენად შესაძლებელია?***

– ნაცმოძრაობის აკრძალვის საფუძველი არსებობს. ჩვენი პოლიტიკური ორგანიზაციის მიზანია, ერთხელ და სამუდამოდ ქვეყანაში აღარ იყოს დამნაშავე ორგანიზაცია. ნაცმოძრაობა ყოველთვის არაეროვნულ ქმედებებს ჩადიოდა. „ყველანი ციხეში“, „ორი გვამი მჭირდება“, „ბევრი დაჭერილი, ბევრი პრემია“. ეს არის მათი ლოზუნგები და მოწოდებები. ნაციონალებმა პოლიციური ჯალათური სახელმწიფო შექმნეს. 300 ათასმა ადამიანმა გაიარა ციხე. როგორ უნდა მისცეს ამომრჩეველმა ნაცმოძრაობას ხმა, როცა ციხეებში ცოცხალ პატიმრებს გარდაცვლილი პატიმრების გვერდით აბამდნენ.

***– აბამდნენ?***

– დიახ, როცა ცოცხალი პატიმარი აზრზე მოდიოდა, ხედავდა, რომ მკვდარ პატიმართან იყო გადაბმული. გლდანის ციხე იყო წამების ლაბორატორია. იქ ხდებოდა ადამიანების წამება, სიკვდილამდე მიყვანა და მკვლელობებიც. ჩემი საკნის ფანჯრების პირდაპირ ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოს მისაღები ჩანდა. ყოველდღე შეჰყავდათ ცოცხალმკვდარი პატიმრები და სულ მცირე 4 გვამი გამოჰქონდათ იქიდან.



სასწაულები იყო, ხალხო! გძინავს და ისმის კივილი, ვკვდები! მორგში ჰყავდათ ხალხი დაბმული.

***– რატომ აბამდნენ?***

– აბამდნენ, რომ არ გამოქცეულიყო. წარმოიდგინეთ, მაგარი ნაცემი რომ ხარ, შეწუხებული, სხეულს ველარ ანძრევ, უფალმა არ გაგწირა, უცებ გაცოცხლდი და მკვდართან ხარ დაბმული. როგორი აღსაქმელია.

მორგიდან ამოდიოდა ხმა, ადამიანები კიოდნენ. მიშველეთ, მკვდრებთან ვარ! წარმოიდგინეთ, მორგში რა სუნი იქნებოდა, სისხლის სუნი მოდიოდა.

***– სისხლის სუნი რატომ?***

– მორგში მკვდრებს ჭრიდნენ. შინაგან ორგანოებგამოცლილი მიჰყავდა პატრონს. პატიმრებს ოპერაციას ნარკოზის გარეშე უკეთებდნენ. ხალხი კიოდა. იმ ჯალათური სისტემის წარმომადგენლებს ახლა რევოლუციის მოწყობა უნდათ.

***– მათ ჰყავთ მათი ამომრჩეველი.***

– ვინც ნაციონალებს მხარს უჭერს, როგორც ჩანს, რეჟიმი, სისხლი და უბედურება მოსწონთ და სწყურიათ. ნაცმოძრაობას ჰყავს თავისი სტაბილური ამომრჩეველი საქართველოს მასშტაბით. მათი რაოდენობა იმდენია, რომ ყოფილი რეჟიმი 5%-ს მიიღებს. ჩვენ მოვითხოვთ ნაცმოძრაობის აკრძალვას.

# 3 პირის მკვლელობაში ბრალდებულ დავით ბეჭვაიას უვადო პატიმრობა მიესაჯა

ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ანგარებით, სამი პირის განზრახ მკვლელობის, ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შენახვისა და ტარებისთვის ბრალდებული დავით ბეჭვაია დამნაშავედ ცნო.

როგორც პროკურატურის პრესსამსახურის ინფორმაციაშია ნათქვამი, სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ დავით ბეჭვაიამ პაატა ჩუბინიძე, მერაბ აბესაძე და გიორგი ფირჩხაძე მატერიალური გამორჩენის მიღების მიზნით მოკლა და გვამები ტყეში დამალა.



– 2016 წლის 9 თებერვალს დავით ბეჭვაია მატერიალური გამორჩენის მიღების მიზნით, მობილური ტელეფონით დაუკავშირდა პირუტყვით მოვაჭრე პაატა ჩუბინიძეს და თითქოსდა გასაყიდი პირუტყვი ჰყავდა, პაატა ჩუბინიძე მოტყუებით დაიბარა ზუგდიდის რაიონის სოფელ ხეცერაში, – ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

მეორე დღეს, 10 თებერვალს, პაატა ჩუბინიძე მერაბ აბესაძესთან და გიორგი ფირჩხაძესთან ერთად, დილის 10 საათისთვის მისი მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანით სოფელ ხეცერაში ჩავიდა და დავით ბეჭვაიას შეხვდა.

დავით ბეჭვაიამ პაატა ჩუბინიძე, მერაბ აბესაძე და გიორგი ფირჩხაძე ტყის მასივისკენ გაიტყუა და ცეცხლსასროლი იარაღიდან, განზრახ მოკვლის მიზნით, სამივე პირს სხეულის სხვადასხვა არეში ესროლა.

მიღებული ჭრილობების შედეგად პაატა ჩუბინიძე, მერაბ აბესაძე და გიორგი ფირჩხაძე ადგილზე გარდაიცვალნენ. დავით ბეჭვაია დაეუფლა პაატა ჩუბინიძის კუთვნილ 1.920 ლარს და 10 აშშ დოლარს, გვამები ბუჩქნარში გადამალა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა დავით ბეჭვაია 2016 წლის 12 თებერვალს ზუგდიდში დააკავეს. მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტით (ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლელობა ჩადენილი ანგარებით) და 236-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილებით (ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგოდ შენახვა და ტარება) წარედგინა.

– ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ დავით ბეჭვაია სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად განუსაზღვრა უვადო თავისუფლების აღკვეთა, – ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

# კუმურდოს ტაძარს საფრთხე აღარ ემუქრება




კუმურდოს ტაძრის რეაბილიტაცია დაიწყო და მას საფრთხე აღარ ემუქრება. ძეგლზე ამჟამად პირველი ეტაპის სამუშაოები მიმდინარეობს.

კუმურდოს ტაძარი X საუკუნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლია, რომელიც ახალქალაქში, სოფელ კუმურდოში მდებარეობს. ძეგლზე მასშტაბური აღდგენითი სამუშაოები საბჭოთა პერიოდის მერე აღარ ჩატარებულა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# ბარნაული: თავდასხმა ჟურნალისტზე

ბარნაულში ცნობილი რუსი ჟურნალისტი გრიგორი პასკო ჩავიდა. მას ტრენინგები უნდა ჩაეტარებინა მათთვის, ვინც საგამომძიებლო ჟურნალისტიკით არის დაკავებული.

– დღისით, მზისით, ქალაქის ცენტრში ჩემზე თავდასხმა განხორციელდა, – აცხადებს პასკო.

ჟურნალისტს თავს ორი მამაკაცი დაესხა. ერთ-ერთმა მას კეფაში მუშტი ჩასცხო. პასკო დაეცა. ამის შემდეგ მას განუცხადეს: „სანამ ცოცხალი ხარ, აქედან მოუსვი, თორემ შავი დღე დაგადგება“.

თავდამსხმელები გაუჩინარდნენ.

– პოლიციაში ამაზე რეაგირება არ მოახდინეს. ამას გარდა, უცნობი პირები მითვალთვალებდნენ, – ამბობს პასკო.

# წმენდები თურქეთის დაზვერვაში



თურქეთის კონტრდაზვერვამ სადაზვერვო სამსახურში აღმოაჩინა ემიგრაციაში მცხოვრები მქადაგებლის გიულენის მომხრენი.

დადგინდა, რომ თურქ მზვერავებს აშშ-ში მცხოვრებ გიულენთან კავშირი ჰქონდათ.

გიულენს თურქეთის ხელისუფლება შეიარაღებული პუტჩის ორგანიზებაში ადანაშაულებს. სამსახურიდან 87 თურქი მზვერავი გაათავისუფლეს.

# შიმონ პერესი გარდაიცვალა



94 წლის ასაკში გარდაიცვალა ისრაელის ყოფილი პრეზიდენტი, მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატი შიმონ პერესი.

პერესი ისრაელი პოლიტიკოსების იმ თაობას განეკუთვნებოდა, რომლებიც ამ ქვეყნის დამაარსებლებად ითვლებიან.

პერესი ისრაელის ბირთვული პროგრამის ერთ-ერთი თანაავტორია. ამავე დროს, ის ახლო აღმოსავლეთში სამშვიდობო პროცესის ერთ-ერთი არქიტექტორიც გახლდათ, ამიტომაც მშვიდობის დარგში ნობელის პრემია მიენიჭა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნები

## კენჭისყრა იმართება
08:00 საათიდან 20:00 საათამდე

## ამომრჩეველთა საყურადღებოდ!



კენჭისყრის შენობაში შესვლისას ნაკადის მომწესრიგებელ კომისიის წევრს წარუდგინეთ პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი (იძულებით გადაადგილებული პირის შემთხვევაში აგრეთვე დევნილის მოწმობა) და გაიარეთ მასთან მარკირების შემოწმების პროცედურა.

### თუ აღმოჩნდა, რომ გაქვთ მარკირება, არ მოგეცემათ კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება



მარკირების შემოწმების პროცედურის გავლის შემდეგ მიდით სარეგისტრაციო მაგიდასთან და რეგისტრატორს წარუდგინეთ პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი (იძულებით გადაადგილებული პირის შემთხვევაში აგრეთვე დევნილის მოწმობა) ***გაიკეთეთ მარკირება***

### მარკირებაზე უარის თქმის შემთხვევაში არ მოგეცემათ კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება



ამომრჩეველთა სიაში თქვენი გვარის გასწვრივ გააკეთეთ ხელმოწერა;
მიიღეთ რეგისტრატორისგან ბეჭდითა და ხელმოწერით დამოწმებული საარჩევნო ბიულეტენები;
კენჭისყრის კაბინაში შემოხაზეთ თქვენთვის სასურველი ერთი საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი;
თუ დამოუკიდებლად არ შეგიძლიათ შეავსოთ საარჩევნო ბიულეტენი, უფლება გაქვთ, კენჭისყრის კაბინაში დასახმარებლად მოიწვიოთ ნებისმიერი პირი, გარდა საარჩევნო კომისიის წევრისა, კანდიდატისა, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლისა, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალების წარმომადგენლისა და დამკვირვებლისა.

### თუ გაგიფუჭდათ საარჩევნო ბიულეტენი, მიმართეთ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს,გადაეცით გაფუჭებული და მოითხოვეთ ახალი საარჩევნო ბიულეტენი



კენჭისყრის კაბინიდან გამოსვლის შემდეგ აიღეთ სპეციალური კონვერტი და დაკეცილი საარჩევნო ბიულეტენები მოათავსეთ მასში;
სპეციალური კონვერტი მოათავსეთ საარჩევნო ყუთში.

## კენჭისყრაში მონაწილეობის შემდეგ, გთხოვთ, დატოვოთ საარჩევნო უბანი

ცესკოს სატელეფონო/
საინფორმაციო ცენტრი – 2510051

საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

**დემოკრატიის სერვისი!**

# ს.ს.ი.პ – გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

## ობიექტი №1

**ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება**

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

**1. საიდენტიფიკაციო ნომერი**

204 559 691

**2. მისამართი/ტელეფონი**

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 243 95 57

ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

**3. ელ–ფოსტა**

Licenziebi2015@gmail.com

**4. სარგებლობის ლიცენზიის სახე**

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

**5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის**

ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.

ბ) ობიექტის ექსპლუატაციის პროცესში მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით.

გ) გეოდინამიკური სიტუაციის გართულების თავიდან აცილების მიზნით ობიექტის მთელ ფართობზე წელიწადში ინერტული მასალის მოპოვების სიღრმე (სიმძლავრე) არ უნდა აღემატებოდეს 1,5 მ-ს.

დ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ„, ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ„, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ„ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ„ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.

ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

ვ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

**6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფ. რიყეს მიმდებარე ტერიტორია, მდ. ენგური II და ენგური III ქვიშა-ხრეშის საბადოები (კატეგორია - P + C1 მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა (ოთხივე უბანზე ერთად) - 1 165 500 მ3).

**7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფ. რიყეს მიმდებარე ტერიტორია

**8. აუქციონის საწყისი ფასი**

156 278 ლარი

**9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)**

15 627,8 ლარი

**10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი**

78 339 ლარი

**11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 30 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 29 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე

**12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 29 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 29 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე

**13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა**

5 წელი

**14. სხვა მონაცემები**

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

## ობიექტი №2

**ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება**

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

**1. საიდენტიფიკაციო ნომერი**

204 559 691

**2. მისამართი/ტელეფონი**

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 243 95 57

ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

**3. ელ–ფოსტა**

Licenziebi2015@gmail.com

**4. სარგებლობის ლიცენზიის სახე**

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

**5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის**

ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.

ბ)ლიცენზიის მფლობელი ვალდე-ბულია ადგილობრივ თვითმართელობას წარუდგინოს კარიერიდან ტრანსპორტის მოძრაობის მარშრუტის სქემა.

გ) ლიცენზიის მფლობელმა სოფლის გზის დაზიანების შემთხვევაში უზრუნველყოს მისი აღდგენა.

დ) ლიცენზიის მფლობელმა სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) ტრანსპორტირება უზრუნველყოს ძარაგადახურული სატრანსპორტო საშუალებით, ვინაიდან თავიდან აცილებული იქნეს მტვრის გაფრქვევა დასახლებულ უბნებში.

ე) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ„, ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ„ საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ„ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ„ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.

ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

ზ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

**6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი**

მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ძეგვის მიმდებარე ტერიტორია, მდ. მტკვარზე „ძეგვი„-ს ქვიშა-ხრეშის საბადო (კატეგორია - C1+P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 100 200 მ3).

**7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა**

მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ძეგვის მიმდებარე ტერიტორია

**8. აუქციონის საწყისი ფასი**

13 435 ლარი

**9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)**

1 343,5 ლარი

ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;

ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;

გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;

დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;

ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;

ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის თავმორთულობის მოწესრიგება.

ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულისმოპოვებისლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

**6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი**

ქალაქი გორი, თამარ მეფის ქ. N76. მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა (ორივე ჭაზე ერთად) - 40 000 მ3/წელიწადში).

**7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა**

ქალაქი გორი, თამარ მეფის ქ. N76

**8. აუქციონის საწყისი ფასი**

670 ლარი

**9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)**

67 ლარი

**10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი**

535 ლარი

**11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 30 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 29 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე

**12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 29 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 29 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე

**13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა**

5 წელი

**14. სხვა მონაცემები**

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

# ლესტერი ლიგაზე უდანაკარგოა

### ე ჯგუფი

**მონაკო-ლევერკუზენი 1:1**

0:1 ჩიჩარიტო (73), 1:1 გლიკი (90)

**მონაკო:** სუბაშიჩი, რაჯი, გლიკი, ჟემერსონი, სიდიბე, ლემარი, ფაბინიო, ბაკაიოკო (ლოტინი 77), მოუტინიო, ჟერმენი (კარილიო 73), სილვა (ბოშილა 81)

**ლევერკუზენი:** ლენო, ბენდერი, თა, თოფრაქი, ჰენრიხი, ბრანდტი (კისლინგი 63), არანგისი, კამპლი, ჩალჰანოღლუ, ფოლანდი (მეჰმედი 73), ჩიჩარიტო (ბაუმგარტლინგერი 90)

ლევერკუზენს წინა ტურში საჭირო ქულები ჰქონდა დაკარგული და მის ანაზღაურებას მონაკოში ცდილობდა. თითქოს ყველაფერი მათთვის კარგად მიდიოდა – ჩიჩარიტომ სტუმრები დააწინაურა, მაგრამ ზედ მსაჯის საფინალო სასტვენის წინ კი, გლიკმა უძლიერესი დარტყმით, ულამაზესი გოლი შეაგდო და ანგარიში გაათანაბრა.

**ცსკა-ტოტენჰემი 0:1**

0:1 სონი (71)

**ცსკა:** აკინფეევი, ფერნანდეში, ვ.ბერეზუცკი (ა.ბერეზუცკი 46), იგნაშევიჩი, შენნიკოვი, ვერმბლუმი, გოლოვინი, ტოშიჩი (ნათხო 72), ერემენკო, მილანოვი, ტრაორე

**ტოტენჰემი:** ლორისი, ტრიპიერი, ალდევეირელდი, ვერტონგენი, დეივისი, ლამელა, ერიკსენი, ვანიამა, ალი (ვინკსი 82), მინ სონი, იანსენი (ნკუდუ 67)

გერმანიაში მოპოვებული ქულის შემდეგ ცსკა კიდევ უფრო დიდ ნაბიჯს გადადგამდა პლეი ოფისკენ, თუკი ტოტენჰემის დამარცხებას მოახერხებდა, მაგრამ მეტოქესთან ვერაფერს გახდა.

ერთადერთი გოლი კორეელმა სონმა 71-ე წუთზე გაიტანა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მონაკო | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 2.ტოტენჰემი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 3.ლევერკუზენი | 2 | 0 | 2 | 0 | 3-3 | 2 |
| 4.ცსკა | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |

**მომდევნო ტური:** ცსკა-მონაკო; ლევერკუზენი-ტოტენჰემი.

### ფ ჯგუფი:

**დორტმუნდი-რეალი 2:2**

0:1 რონალდუ (17), 1:1 ობამეიანგი (43), 1:2 ვარანი (68), 2:2 შიურლე (87)

**დორტმუნდი:** ბიურკი, პიშჩეკი, პაპასტატოპულოსი, გინტერი, შმელცერი, დემბელე (პულიშიჩი 73), გიოტცე (შიურლე 58), ვაიგლი, კასტრო, გერერო (მორი 78), ობამეიანგი

**რეალი:** ნავასი, კარვახალი, ვარანი, რამოსი, დანილო, მოდრიჩი, კროოსი, ხამესი (კოვაჩიჩი 70), ბეილი, რონალდო, ბენზემა (მორატა 87)

მეორე ტურის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი დორტმუნდში შედგა და ისე დასრულდა, როგორც თამაშის მიმდინარეობა მოითხოვდა. ლოგიკური ფრე და უხვგოლიანი მატჩი მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა და უფრო მეტი მომენტი მადრიდელთა კართან შეიქმნა. თუმცა, გოლები ჯერ რეალს გაჰქონდა და შემდეგ დორტმუნდი ათანაბრებდა...

სტუმართაგან რონალდუმ და ვარანიმ გაიტანეს, ხოლო მასპინძელთაგან – ობამეიანგმა და შიურლემ.

**სპორტინგი-ლეგია 2:0**

1:0 რუისი (28), 2:0 დოსტი (37)

**სპორტინგი:** რუი პატრისიო, პერეირა, კოატესი, სემედო, ჟეფერსონი, მარტინსი (კემპბელი 76), კარვალიო, სილვა, სეზარი (მარკოვიჩი 67), დოსტი, რუისი (პეტროვიჩი 87)

**ლეგია:** მალარჟი, ბერეჟუნსკი, კრევინსკი, რჟეზნიჩაკი, ჰოუშეკი, იოდლოვიეცი, მოულინი (კოპჩინსკი 86), გილერმე, რადოვიჩი, ლანგილი (ალექსანდროვი 46), ნიკოლიჩი (ოფოე 60)

ვაკო ყაზაიშვილი ლეგიის განაცხადშიც არ ყოფილა. თავად პოლონური გუნდი კი ყველაზე სუსტი მოჩანს ამ ეტაპზე და ისევ უშანსოდ წააგო.

პორტუგალიელებმა პირველივე ტაიმში 2 გოლით მოაგვარეს საქმე.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დორტმუნდი | 2 | 1 | 1 | 0 | 8-2 | 4 |
| 2.რეალი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-3 | 4 |
| 3.სპორტინგი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-2 | 3 |
| 4.ლეგია | 2 | 0 | 0 | 2 | 0-8 | 0 |

მომდევნო ტური: სპორტინგი-დორტმუნდი; რეალი-ლეგია.

### ჯ ჯგუფი

**კოპენჰაგენი-ბრიუგე 4:0**

1:0 დენსვილი (54სკ), 2:0 დელანი (64), 3:0 სანტანდერი (69), 4:0 იორგენსენი (90)

62-ე წუთზე აუგუსტინსონმა ვერ გაიტანა პენალტი

**კოპენჰაგენი:** ოლსენი, ანკერსენი, იორგენსენი, იოჰანსონი, აუგუსტინსონი, ვერბიჩი (ტუტუ 67), დელანი, კვისტი, ფალკი (ამანკვაა 84), სანტანდერი (პავლოვიჩი 79), კორნელიუსი

**ბრიუგე:** ბუტელი, ვან რეინი, პულენი, სიმონსი, დენსვილი, დე ბოკი, ვანაკენი (ლიმბომბე 46), კლოდემირი, ვორმერი, ისკიერდო (გედოში 79), ვოსენი (ფერეირა და სილვა 63)

უგოლო პირველი ტაიმის მერე კოპენჰაგენმა გაილაღა, თუმცა პირველი გოლი ბრიუგემ გაიტანა... საკუთარ კარში.

თითქოს ამას ელოდნენ და კოპენჰაგენმა მეტოქეს გადაურბინა. დანიელებს მეტი გოლის გატანაც შეეძლოთ, მაგრამ ვერ გამოიყენეს, მათ შორის – პენალტიც.

**ლესტერი-პორტუ 1:0**

1:0 სლიმანი (25)

**ლესტერი:** შმეიხელი, ლუის ერნანდესი, მორგანი, ჰუტი, ფუხსი, მაჰრეზი (გრეი 88), დრინკვოტერი, ამარტეი, ოლბრაიტონი, სლიმანი (კინგი 82), ვარდი (მუსა 90)

**პორტუ:** კასილიასი, ლაიუნი, ფელიპე, ივან მარკანო, ალექს ტელესი, ტორესი (კორონა 77), პერეირა, ანდრე (ერერა 63), ანდრე სილვა, ოტავინიო, ადრიანი (ჟოტა 63)



მელიები ისევ აოცებენ საფეხბურთო სამყაროს. კლაუდიო რანიერის შეგირდებმა ამჯერად დრაკონები დასაჯეს.

მართალია, სტატისტიკურად პორტუს უკეთესი მაჩვენებლები ჰქონდა, მაგრამ მაინც დამარცხდა. ლესტერმა კი ზედიზედ მეორედ მოიგო და 6 ქულით ლიდერობს ჯგუფს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლესტერი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-0 | 6 |
| 2.კოპენჰაგენი | 2 | 1 | 1 | 0 | 5-1 | 4 |
| 3.პორტუ | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| 4.ბრიუგე | 2 | 0 | 0 | 2 | 0-7 | 0 |

**მომდევნო ტური:** ლესტერი-კოპენჰაგენი; ბრიუგე-პორტუ.

### ჰ ჯგუფი

**სევილია-ლიონი 1:0**

1:0 ბენ იედერი (53)

69-ე წუთზე ვიეტომ ვერ გაიტანა პენალტი

**სევილია:** სერხიო რიკო, მარიანო, მერკადო (კოლოჯეიჩაკი 87), პარეხა, ესკუდერო, ნასრი, ნზონზი, ვასკესი (იბორა 59), ვიტოლო, ვიეტო, ბენ იედერი (სარაბია 82)

**ლიონი:** ანტონი ლოპეში, მბივა (ვალბუენა 70), ნკულუ, მორელი, გასპარი (გეზალი 79), ტოლისო, გონალონი, სერხი დარდერი, რიბუსი, ფეკირი (კალულუ 70), კორნიე

პირველ ტაიმში სტუმრები უკეთესად გამოიყურებოდნენ და კარგი მომენტებიც ჰქონდათ, მაგრამ მათი გამოუყენებლობის გამო დაისაჯნენ.

ხორხე სამპაოლის შეგირდებმა შესვენების შემდეგ დაჩაგრეს ფრანგები, მაგრამ ერთ გოლზე მეტი ვერ გაუტანეს. პლუს, პენალტიც გააცუდეს.

**დინამო (ზ)-იუვენტუსი 0:4**

0:1 პიანიჩი (24), 0:2 იგუაინი (31), 0:3 დიბალა (57), 0:4 შემპერი (85სკ)

**დინამო:** შემპერი, პივარიჩი, შილდენფილდი, სიგალი, შიტუმი, ბენკოვიჩი, ანტოლიჩი (მაშადო 72), ჟონასი (ფიოლიჩი 48), სუდანი, პავიჩიჩი, ფერნანდესი (ჰოჯიჩი 58)

**იუვენტუსი:** ბუფონი, ბარძალი (პიაცა 68), ბონუჩი, კიელინი, დანი ალვეში, ხედირა, პიანიჩი (კუადრადო 46), ერნანეში, ევრა, დიბალა, იგუაინი (მანჯუკიჩი 71)

თბილისის დინამოს დამჩაგრავი ზაგრებული გუნდი თავადაც ისე იჩაგრება ჯგუფურ ეტაპზე, რომ წარმოდგენაც არ გვინდა, რა დაემართებოდა ქართულ გუნდს იქ მოხვედრის შემთხვევაში.

იუვენტუსს გაჰქონდა, როცა უნდოდა და 4 გოლს დასჯერდა. თანაც ისე, რომ მეტოქეს კარშიც კი არ დაარტყმევინეს.

მირალემ პიანიჩმა გოლი და საგოლე პასი მიითვალა, გაიტანეს არგენტინელებმაც – გონსალო იგუაინმა და პაოლო დიბალამ, ხოლო ბოლოს ზაგრებელებმა შეაგდეს საკუთარ კარში.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-0 | 4 |
| 2.სევილია | 2 | 1 | 1 | 0 | 1-0 | 4 |
| 3.ლიონი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-1 | 3 |
| 4.დინამო | 2 | 0 | 0 | 2 | 0-7 | 0 |

**მომდევნო ტური:** დინამო-სევილია; ლიონი-იუვენტუსი.



## ელერდაისი ინგლისის ნაკრებს აღარ გაწვრთნის

ინგლისის ნაკრების მთავარი მწვრთნელი სემ ელერდაისი სერიოზულ შარშია. ჯერ ერთი, უმუშევარი დარჩა, მეორეც – ისე შეელახა რეპუტაცია, რომ შესაძლოა, თავის ქვეყანაში ვერსად იმუშაოს.

ელერდაისი ინგლისის ფეხბურთის მამებმა დაიბარეს. საუბრის დეტალები უცნობია, მაგრამ ფაქტია, რომ ელერდაისმა პოსტი დატოვა.

– სემ ელერდაისის საქციელი შეუფერებელია ინგლისის ნაკრების მწვრთნელისთვის. მან ბოდიში მოიხადა, თუმცა საფეხბურთო ასოციაციის იმიჯი და ინტერესები ითხოვდა იმას, რომ ურთიერთშეთანხმებით მიგველო ხელშეკრულების შეწყვეტის გადაწყვეტილება, – ნათქვამია ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის პრეს-რელიზში.

ინგლისურ მედიას სხვა საქმეც გამოუჩნდა – ვინ შეცვლის ელერდაისს?

დეილი ტელეგრაფი მიიჩნევს, რომ ამ მომენტისთვის ელერდაისის შემცვლელად ყველაზე რეალური ვარიანტი კრისტალ პალასის დამრიგებელი ალან პარდიუა.

შემდეგ მოდის სტივ ბრიუსი, რომელიც ასევე იყო საფეხბურთო ასოციაციის კანდიდატთა სიაში ამ ზაფხულს, როცა ინგლისის ნაკრები უმწვრთნელოდ დარჩა.

განიხილება ედი ჰოუს კანდიდატურაც. სხვათა შორის, ამ 38 წლის მწვრთნელს არსენ ვენგერის ერთ-ერთ რეალურ მემკვიდრედ მოიაზრებენ.

შედარებით დაბალი შანსები აქვთ იურგენ კლინსმანს, გლენ ჰოდლს, გარი ნევილსა და სლავენ ბილიჩს.

## შედეგები

**27 სექტემბერი**

მონაკო-ლევერკუზენი ..................... 1:1
ცსკა-ტოტენჰემი ............................ 0:1
დორტმუნდი-რეალი ........................ 2:2
სპორტინგი-ლეგია .......................... 2:0
კოპენჰაგენი-ბრიუგე ...................... 4:0
ლესტერი-პორტუ ........................... 1:0
სევილია-ლიონი ............................ 1:0
დინამო(ზ)-იუვენტუსი ..................... 0:4

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ბარნსლი-ასტონ ვილა ..................... 1:1
ბარტონი-ქპრ ................................ 1:1
ბირმინგემი-პრესტონი .................... 2:2
ბლექბერნი-უენსდი ........................ 0:1
ბრენტფორდი-რედინგი .................. 4:1
ბრისტოლი-ლიდსი ......................... 1:0
იფსვიჩი-ბრაიტონი ........................ 0:0
კარდიფი-დერბი ............................ 0:2
ნოტინგემი-ფულემი ....................... 1:1
უიგანი-ვულვზი ............................. 2:1
ჰადერსფილდი-როტერჰემი .............. 2:1

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

გაზელეკი-ამიენი ........................... 1:1

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*



## ლელო სარასენსი მდევრებს გაექცა

დიდი 10-ის მე-4 ტურის 5 მატჩი 3 ქალაქის სტადიონზე გაიმართა.

ლელო სარასენსი შინ, დიდ დიღომში 0:10 ჩამორჩა აკადემიას, ვისაც ყველა ქულა კოხტა სოლოთი და გოლებით 15 ნომერმა, სოსო მათიაშვილმა შესძინა. ჩემპიონმა, როგორც სჩვევია, მძლავრად ჩაატარა მეორე ტაიმი და მეოთხედაც მოიგო – 19:13.

ლიდერის უახლოესი მდევარი, აია, ავჭალაში ეახლა ლოკომოტივს. პირველი ტაიმი ფრედ 8:8 დასრულდა, შესვენების შემდეგ კი 9-გზის ჩემპიონების ფულბექმა ბექა წიკლაურმა ორი ჯარიმაც შეაგდო – 14:8.

ზედიზედ მეორედ დამარცხდა ბრინჯაოს პრიზიორი ჯიქი. გორელებმა შინ, ახალი სტადიონის კურთხევაზე ტაიმი 2 ქულით კი მოუგეს ბათუმს, მაგრამ მერე აჭარულმა კლუბმა ორი ლელო დადო, ხოლო თემო სოხაძემ კარში ზუსტად ურტყა – 18:5.

სტარტზე სამი წაგების შემდეგ იმარჯვეს ყოჩებმა: ბოლნისელები ქუთაისში ლამის მთელი თამაში უგებდნენ ახალბედა ბაგრატს, ვინაც მესამე სანუგეშო ქულა მაინც აიღო და რიგიან, მეშვიდე ადგილზეა – 27:23.

ბოლო ადგილზეა არმაზი, რომელმაც შევარდენზე პრემია კი დააკარგვინა არმიას, მაგრამ მაინც დამარცხდა – 12:24.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლელო სარასენს | 4 | 4 | 0 | 0 | 85:50 | 18 |
| 2.აია | 4 | 3 | 0 | 1 | 76:55 | 13 |
| 3.ლოკომოტივი | 4 | 3 | 0 | 1 | 77:48 | 13 |
| 4.ბათუმი | 4 | 3 | 0 | 1 | 69:47 | 13 |
| 5.ჯიქი | 4 | 2 | 0 | 2 | 73:53 | 10 |
| 6.არმია | 4 | 2 | 0 | 2 | 59:62 | 9 |
| 7.ბაგრატი | 4 | 1 | 0 | 3 | 76:90 | 7 |
| 8.აკადემია | 4 | 1 | 0 | 3 | 53:81 | 5 |
| 9.ყოჩები | 4 | 1 | 0 | 3 | 60:90 | 5 |
| 10.არმაზი | 4 | 0 | 0 | 4 | 49:101 | 1 |

## ასტროპროგნოზი
**29 სექტემბრისთვის**



**ვერძი** – პლანეტები თქვენ მიმართ არაკეთილგანწყობილნი არიან. ყოველგვარი არასაჭირო კონტაქტისგან თავი შეიკავეთ. **კურო** – მატერიალური მდგომარეობა საკმაოდ გიუმჯობესდებათ. ილუზიებს ნუ აჰყვებით. საღად იაზროვნეთ. **ტყუპები** – შესაძლოა შემოსავლის ახალი წყარო გამოგიჩნდეთ. გადაწყვეტილებას ნაუცბათევად ნუ მიიღებთ. **კირჩხიბი** – გეგმების განხორციელებაში ხელი გეშლებათ. ნუ დაღონდებით. ბოლომდე იბრძოლეთ. **ლომი** – ბედი გამოცდას გიწყობთ. პირად ცხოვრებაში მნიშვნელოვან ცვლილებებს ელოდეთ. დაკარგულს ვერ დაიბრუნებთ. **ქალწული** – ჯანმრთელობაზე სერიოზულად იზრუნეთ. ერიდეთ ურთიერთობას ახალგაცნობილ ადამიანებთან. **სასწორი** – ქალაქგარეთ გასვლა, მოგზაურობა, ფიზიკური დატვირთვა რეკომენდებული არ არის. ხელმძღვანელ პირებთან კონფლიქტი როგორმე თავიდან უნდა აიცილოთ. **ღრიანკალი** – ნებისმიერ სიტუაციაში სიმშვიდის შენარჩუნება გმართებთ. საქმიან და პირად საკითხებს იოლად აგვარებთ. **მშვილდოსანი** – ახალი პერსპექტივები გადაგეშლებათ. მეგობრებს შემოთავაზებულ დახმარებაზე უარს ნუ ეტყვით. **თხის რქა** – ახალი ნაცნობობა თქვენს მომავალზე უარყოფით გავლენას მოახდენს. დღეს მხოლოდ იმ საქმით დაკავდით, რომელიც ყველაზე კარგად გამოგდით. **მერწყული** – შემოქმედებითი, სულიერი და სექსუალური შესაძლებლობები იზრდება. ნებისმიერ სფეროში თქვენი მოღვაწეობა სასიკეთო შედეგით დასრულდება. **თევზები** – მიენდეთ ინტუიციას. მხოლოდ საკუთარი გულის კარნახით იმოქმედეთ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საკუთარია და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

## ჩვენო საყვარელო ლუკა!



**გილოცავთ დაბადების დღეს,**
**სიყვარული, სიხარული**
**და მზეგრძელობა არ მოკლებოდეს**
**შენს გასავლელ გზას.**
**გფარავდეს უფალი,**
**ამინ!**

ამაღლებას დაიბადე, სახელს უნდა გაფრთხილება,
შენ დაგიცავს ქრისტეს ჯვარი, წმინდა ლუკას სახარება,
ქრისტეს ჯვარი საქართველოს მალამოდ რომ ეფინება,
შემთხვევით არაფერი ხდება, ასე იყო უფლის ნება.
ბედნიერი ყოფილიყავ, საყვარელო ჩვენო ლუკა,
უფალს შევთხოვ, შეგისრულოს ყველას ნატვრა და ოცნება
ლურსმანაშვილების დიდ ოჯახს ვულოცავ შენს დაბადებას,
მშვიდობიან საქართველოს მზე გრძელობა,
დღე გრძელობა.

*ნოდარი ბაბუ*

# განცხადებები

### გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

### მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● უცხოეთში კვალიფიცირებული ექიმი-პედიატრი, გთავაზობთ სხვადასხვა სახის, ზოგადი პროფილის, ასევე ყველა ასაკის ბავშვთა მასაჟს. ვმუშაობ სხეულის კორექციაზეც ვაკუუმ-მასაჟის მეთოდით. მსურველებს, საჭირო კურსის ჩატარების შემდეგ, ექნებათ ლიპოსაქციის ეფექტი. 599 48-66-39.

## მკურნალობა მამაკაცებისთვის!

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);

2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);

3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;

4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);

5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.

**კონსულტაცია უფასოა!**

☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).

მისამართი: ალმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

# ქეთი მელუა და გორის ქალთა გუნდი ევროპაში კონცერტებს გამართავენ



დიდ ბრიტანეთში მოღვაწე ქართველი მომღერალი ქეთი მელუა და გორის ქალთა გუნდი ოქტომბრიდან ევროპაში ერთობლივ კონცერტებს გამართავენ.

კონცერტებამდე ქეთი მელუა ზაფხულში საქართველოს ესტუმრა და გორის ქალთა გუნდთან ერთად ინგლისურენოვან სიმღერაზე ვიდეორგოლი გადაიღო. კლიპი ინტერნეტში უკვე გავრცელდა. მას ბევრი მოწონება და უამრავი ნახვა აქვს.

ქეთი მელუასა და გორის ქალთა გუნდის ერთობლივ სიმღერაზე კლიპი მათი პირველი დიდი პროექტისთვის იქნა გადაღებული. ვიდეორგოლის გადაღებები თბილისის ოპერის თეატრის შენობაში ივნისში მიმდინარეობდა.

მომღერალი გორის ქალთა გუნდთან ერთად ოქტომბერში, ნოემბერსა და დეკემბერში ევროპის სხვადასხვა ქალაქში 30-მდე კონცერტს გამართავს.

# ქართველი მოდელები მილანისა და პარიზის მოდის კვირეულებში მონაწილეობენ





ქართველი მოდელები ანა შელია და თათია ახალაია პარიზისა და მილანის მაღალი მოდის კვირეულებში მონაწილეობენ.

ანა შელიამ და თათია ახალაიამ მილანის მოდის კვირეულზე ეტამის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილ ჩვენებაში მიიღეს მონაწილეობა. ანა შელია პოდიუმზე მსოფლიოში ცნობილ მოდელებთან სინდი ბრუნასთან, ანა ბეატრის ბაროსისთან, კონსტანს იაბლონსკისთან და სხვა ტოპ მოდელებთან ერთად გამოვიდა. ჩვენებას წინა რიგიდან თვალს ადევნებდნენ ნატალია ვოდიანოვა და ნატაშა პოლი.

20 წლის ქართველი მოდელი თათია ახალაია კი მილანის მოდის კვირეულში მონაწილეობდა და დიზაინერების მიერ გაზაფხული-ზაფხული 2017-ის კოლექციებს წარმოაჩენდა.

# „სალამურას თავგადასავალი“ ინგლისურად ითარგმნა




არჩილ სულაკაურის ზღაპარი „სალამურას თავგადასავალი“ ინგლისურად ითარგმნა. თარგმანის პრეზენტაცია თბილისში შედგა და ამ ნაწარმოების მიხედვით შექმნილი ილუსტრაციების გამოფენაც მოეწყო.

მთარგმნელი ამერიკელი მწერალი და მთარგმნელი ლინ კოფინია, ხოლო ილუსტრაციები ამერიკაში მოღვაწე ქართველმა მხატვარმა ვახტანგ მუსხელიშვილმა შექმნა.

„სალამურას“ ინგლისური ვერსია ამერიკის შეერთებულ შტატებში უკვე იყიდება. აღსანიშნავია, რომ ლინ კოფინმა გასულ წელს ინგლისურად შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანიც“ თარგმნა, რომელსაც წელს ლიტერატურული პრემია „საბა“ მიენიჭა.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ **599-90-54-78, 234-02-38** ქ-ნი მარიამი

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# სამგლოვიარო განცხადებები

## ლამარა ქაჯაია



სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კოლექტივი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს დამსახურებული თანამშრომლის ლამარა ქაჯაიას გარდაცვალების გამო.

ქართველ ფილოლოგ-ტექსტოლოგთა ხელოვან გუნდს გამოაკლდა პიროვნება, რომელმაც უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მთელი შესაძლებლობა ძველი ქართული ხელნაწერების შესწავლას მიუძღვნა.

ლამარა ქაჯაიამ 1955 წელს წარჩინებით დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. სამეცნიერო მოღვაწეობა დაიწყო ენათმეცნიერების ინსტიტუტში. 1958 წლიდან ხელნაწერთა ინსტიტუტში გააგრძელა საქმიანობა.

1969 წელს დაიცვა დისერტაცია პალეოგრაფიის საკითხებზე. ამ დროიდან მოყოლებული ბოლო დღემდე იგი წარმატებულად მუშაობდა უძველესი ქართული ტექსტების ხანმეტი პალიმფსესტების ამოკითხვასა და შესწავლაზე. 1984 წელს გამოაქვეყნა შრომა „ხანმეტი პალიმფსესტები“. ქართულ ხელნაწერებში დაცულ პალიმფსესტებს არა მარტო ქართველი მეცნიერები იკვლევენ, არამედ ევროპელი ფილოლოგ-პალეოგრაფებიც დიდი ინტერესით სწავლობენ. ლამარა ქაჯაიას დასახელებულმა წიგნმა სპეციალისტებში განსაკუთრებული მოწონება და აღიარება მოიპოვა.

ლამარა ქაჯაია წლების განმავლობაში ასრულებდა ხელნაწერი ფონდების მთავარი მცველის მოვალეობას, ხელმძღვანელობდა ხელნაწერთა დაცვის, აღრიცხვისა და ექსპოზიციის განყოფილებას. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი დიდი გულისტკივილით და სინანულით ეთხოვება უაღრესად თავმდაბალ, საკუთარ საქმეზე თავდავიწყებით შეყვარებულ მეგობარს.

*სსიპ კორნელი კეკელიძის სახელობის*
*საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*

ძმები გივი და გოდერძი, და რუსიკო ჭყოიძეები ოჯახებით, ძმისშვილები, დისშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სათნო მანდილოსანი

## ფაცო (ოლია) ჭყოიძე

დაკრძალვა: 1 ოქტომბერს, ხარაგაულის რაიონის სოფელ ქვებში.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**



ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მ.ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ყოფილი თანამშრომელი, სეისმოლოგიის დარგის ღვაწლმოსილი მეცნიერი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი

## ნოდარ თუთბერიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

# პროგრამა

**ხუთშაბათი 29 სექტემბერი**

**06.00, 14.00** ტ/სერ. "**ადვოკატები**" **07.00** დოკ/სერ. "ცნობისმოყვარეობა. ადამიანის ბუნება" **08.00** ან/ფ "მადაგასკარის პინგვინები" **08.40** "ტელემანი" **09.00, 10.00, 12.00, 16.00, 18.00** "მოამბე" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ცხიერი მოახლეები**" **12.20** მხ/ფ "**მერვე გვერდი**" **15.00, 22.45** "X სტუდია" **16.30** "ეკონომეტრი" **17.00** დოკ/სერ. "ცნობისმოყვარეობა. ადამიანის ბუნება" **20.00** მოამბის სტუმარი **21.30** "ინტერვიუ სალომე ასათიანთან" **22.15** "ვექტორი" **23.45** მხ/ფ "**მოჯადოებული**" (გ.პეკი) **01.30** მხ/ფ "**შიში**"

**08.00** დ/ფ "სიყვარულის სახელით" **09.00** დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" **10.00** "გეოფაქტორი" **10.15** მხ/ფ "**ვისაც მეფეები**" I ნაწ. **12.00** ტ/სერ "**ცოდვა და სირცხვილი**" **13.00** ტ/სერ "**ჩენტო ვეტრინე**" **14.00** "ბრიფინგის დრო" **17.00** დ/ფ "ევროპის შუაგულში" **18.00, 21.00** "არჩევნები 2016" **20.00** "მოამბე" **22.00, 01.00** ტ/სერ "**ზღვარს მიღმა**" **23.00** "მოამბე" (3 ენაზე) **00.30** "ნამდვილი დრო"

**05.30** სერ. "**ბამბის ველი**" **06.30, 16.00** სერ. "**თანხმობა**" **07.30, 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.00** ქრონიკა **07.35, 08.15, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ერთი სიყვარულის ამბავი**" **11.20** სერ. "**სიყვარულის ჟამი**" **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. "**ფიცი**" **17.35, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**შავი ვარდი**" **22.00** სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად **00.00** მხ/ფ "**ხელმწიფის სახელით**" **02.15** მხ/ფ "**პატრული**" **04.00** მხ/ფ "**დამრიგებელი**"

**06.00** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **06.45** სერ. "**გაბრიელა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**დედოფლის სევდა**" **15.55** სერ. "**ინდური საგა**" **16.55** სერ. "**ცხოვრების გზები**" **18.50** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **19.55, 20.05** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **22.00** სერ. "**ხელოვნური სუნთქვა**" 6 **23.00** პროფილი **00.00** P.S. **01.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი

**8.00** ან/სერ. "**ვარსკვლავური ომები**" **9.00, 19.30** სერ. "**მენტალისტი**" **10.00, 18.30** სერ. "**კარგი ცოლი**" **11.00** სერ. "**გრეის ანატომია**" **12.00** შეხვედრები რეგიონულ მედიასთან **13.30, 1.30** სერ. "**კრიმინალური აზროვნება**" **14.30** ცოლები და ქმრები **15.00** გვიანი შუადღე **17.00** სერ. "**ახალი გოგო**" **18.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.20** არჩევნები **2012** დაიჯესტი **20.30 20.30 22.30** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" **23.30** მხ/ფ "**აკრძალული ილეთი** " **2.30** ჯიდიპედია

**06.15** სჯანი-"ჩინური რელიგიები" **06.40** პატერიკი-ღირს მამა კვირიაკესთან **06.50** დ/ფ "ფშავ-ხევსურეთი, მთიულეთი" **07.25** ქართული ალბომი **07.50** დ/ფ **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** სიბრძნისმეტყველება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.40** ერთსულოვნების სალონი **11.30** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ "**რაჭა ჩემი სიყვარული**" **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.00** დეკორატიული ფლორა "მონსტერა დელიციონი" **15.05** ივერიის ეკლესია **15.20** ქართ. ან/ფ **15.30** წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან **17.05** კონცერტი **17.35** ჩვენი ფონდი **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** პორტრეტები **20.20** დ/ფ "სიჩუმის მცველები" **20.40** ძილი ნებისა "ნახევარქათამა" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** ლექციები მეფეუტკრეობაზე **21.45** ამბიონი-"ლიტია და პურის კურთხევა" **22.20** ჩვენი საგანძური **22.40** ქრისტიანული სწავლება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.40** თბილისის ტაძრები "სიონი" **00.25** ისტორიის დღიური **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 0.40** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **8.00** სერ. "**ტატიანა**" **10.05** სერ. "**ცენტრალური საავადმყოფო**" **11.05** სერ. "**ვერონიკა**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 0.10** "ბიზნეს კონტაქტი" **13.00, 14.05 , 1.00** სერ. "**გულს ვერ უბრძანებ**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **16.05, 17.05, 3.00** სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **18.35** სერ. "**უკანასკნელი მაგიკიანი**" **19.05** სერ. "**ცენტრალური საავადმყოფო**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.55** სერ. "**გემი**" **21.40** "ღამის კონტაქტი" **22.55** "აკრედიტაციის გარეშე" **23.20** სერ. "**ესკობარი**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**29 სექტემბრისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.3345

ევრო — 2.6247

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.0206

100 რუსული რუბლი — 3.6493

## ამინდის პროგნოზი 29 სექტემბრისთვის





## 27 სექტემბრიდან
## ედიშერ ყიფიანი
## ტომი II




II ტომში შესულია მწერლის ორი რომანი: „წითელი ღრუბლები“ და „ცაში ასროლილი ქუდები“.

რომანებმა გამოქვეყნებისთანავე მკითხველის მოწონება დაიმსახურა და ავტორს დიდი პოპულარობა მოუტანა.

**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**


## იუმორი



ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– იცი, რომ კურდღლები სულ დახტიან და მხოლოდ რვა წელი ცოცხლობენ, ძაღლები სულ დარბიან და დაახლოებით 15 წელი ცოცხლობენ, ხოლო კუ არაფერს აკეთებს და 150 წელი ცოცხლობს.

– მართლა?! ჰოდა, ჩვენც დავისვენოთ!

•••

ცოლი ქმარს ეუბნება:

– შენ უგრძნობელი, საკუთარ თავზე შეყვარებული, ეგოისტი და ცინიკოსი საქონელი ხარ!

– რას მელაქუცები, რა გინდა?

•••

მილიონერის პირველკლასელი შვილი სკოლიდან სახლში დაბრუნდა. მამა ეკითხება:

– აბა, როგორ მოგეწონა სკოლა?

– როგორც ყოველთვის, გაბერეს რა, ტელევიზორის მაგივრად რაღაც დაფა დგას, ოცი უსაქმური ზის, მერხები და სკამებიც კი ხისაა... არადა, მეუბნებოდით პირველი კლასიო...

•••

ქმარი ცოლს ურეკავს და ეუბნება:

– ალო, საყვარელო, მაპატიე, უტვინო რომ გიწოდე.

– არა უშავს, ცხელ გულზე წამოგცდა.

– რა ხმაურია, მეტროში ხარ?

– არა, ყვავს ვაქუცმაცებ ბლენდერში...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.



## 30 სექტემბრიდან
## სოლომონ მეფის საგანძური

ჰენრი რაიდერ ჰაგარდი




**მაგარი ყდა, 248 გვერდი**

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

## 29 სექტემბრიდან




## ჩემი პირველი სიტყვები სკოლა

გასართობ-შემეცნებითი ფერადი წიგნი პატარებისთვის.

წიგნში 100-ზე მეტი სიტყვაა მოცემული. თამაშის საშუალებითა და ფერების შერჩევით პატარებისთვის ნაცნობი ნივთების ამოცნობა და დასახელება ძალიან ადვილი და სახალისოა.

**ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი**


## ზიდანი: „მრცხვენია, რომ ზედიზედ სამი თამაში ვერ მოვიგეთ“



მადრიდის რეალის მწვრთნელმა ზინედინ ზიდანმა დორტმუნდის ბორუსიასთან მატჩის შემდეგ კომენტარი გააკეთა და თქვა, რომ რცხვენია გუნდის მიერ ნაჩვენები ბოლო შედეგების.

ზიდანმა იგულისხმა ის, რომ რეალი ზედიზედ 3 შეხვედრაში ვერ ახერხებს გამარჯვების მოპოვებას, თუმცა მას მარცხი არც ერთ ამ შეხვედრაში არ განუცდია. ზიდანის თქმით, ბორუსიას წინააღმდეგ მისი გუნდი გამარჯვებას იმსახურებდა, ამიტომ ეს შედეგი მტკივნეულია, თუმცა რეალი მომავალ შეხვედრებზე უნდა ფიქრობდეს. შემდეგ თამაშს მადრიდული გუნდი საკუთარ მოედანზე ეიბარის წინააღმდეგ გამართავს ესპანეთის ჩემპიონატის მე-7 ტურში.


## 4 ოქტომბრიდან




## ღვინის დაგემოვნება

**მაგარი ყდა**
**208 გვერდი**
**ფორმატი 17/22,5**

“პრაქტიკული კურსი – ღვინის დაგემოვნება“ დაგეხმარებათ, აღმოაჩინოთ მსოფლიოს საუკეთესო ღვინოები; გაიგოთ, სურნელისა და არომატის როგორი ბუკეტი ახასიათებს ამა თუ იმ ღვინოს და რას ნიშნავს ღვინის სხეულიანობა, სიღრმე, სიხალასე თუ სისავსე.

აქვე ქართული ღვინოების შესახებაც იპოვით ინფორმაციას და წაიკითხავთ მსოფლიოში უნიკალური, ქვევრში ღვინის დაყენების ძველი ქართული მეთოდის შესახებ.

**ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი**


## ჩინეთს ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობა სურს

ჩინეთის საფეხბურთო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ჩჟან ცზიანმა განაცხადა, რომ ჩინეთი შეეცდება 2030 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ჩატარების უფლება მოიპოვოს. ცზიანის თქმით, ჩინეთს ყველა რესურსი აქვს იმისთვის, რომ მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლოს და ეს თუ ასე მოხდება, ჩინეთში ფეხბურთი ორმაგად პოპულარული გახდება.

ვიცე-პრეზიდენტს კონკრეტულ გეგმებზე არ უსაუბრია, რადგან 2030 წლამდე ჯერ კიდევ დიდი დროა.

შეგახსენებთ, რომ 2018 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი რუსეთში ჩატარდება, 2022 წელს კი მასპინძელ ქვეყანად ყატარი მოგვევლინება.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კარლოს ტევესი კარიერის დასრულებაზე ალაპარაკდა



ცნობილი არგენტინელი ფეხბურთელი კარლოს ტევესი კარიერის დასრულებაზე ალაპარაკდა.

ტევესი 32 წლის არის და ამჟამად მშობლიურ გუნდში ბოკა ხუნიორსში თამაშობს, სადაც მან თავის დროზე კარიერა დაიწყო.

ტევესის თქმით, ის ძალიან დაიღალა, ამიტომ არ არის გამორიცხული, სეზონის ბოლოს ფეხბურთელის კარიერა დაასრულოს. არგენტინელმა ფორვარდმა დასძინა, რომ მას ჯერჯერობით ამ საკითხთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღია. კარლოს ტევესმა თავისი კარიერის მანძილზე ბევრ ძლიერ გუნდში ითამაშა, მათ შორის ყველაზე გამოსარჩევები იუვენტუსი, მანჩესტერ იუნაიტედი და მანჩესტერ სიტი არიან.

ბოკა ხუნიორსში ის 2015 წელს დაბრუნდა.

## სლავენ ბილიჩი შესაძლოა ვესტ ჰემიდან გაუშვან



ვესტ ჰემმა წლევანდელი სეზონი ძალიან ცუდად დაიწყო და გუნდი 6 ტურის შემდეგ 3 ქულით მე-18 პოზიციას იკავებს.

განსაკუთრებით მძიმე ვესტ ჰემის ბოლო წაგება იყო საკუთარ მოედანზე სანდერლენდთან 0:3.

ამ მარცხის შემდეგ ბევრი უკვე სლავენ ბილიჩის წასვლაზე ალაპარაკდა, რადგან ვესტ ჰემს სეზონის დასაწყისში ასეთი ცუდი შედეგი დიდი ხანია არ უჩვენებია.

თვითონ ხორვატი სპეციალისტი სიმშვიდეს ინარჩუნებს და ამბობს, რომ ჯერ კიდევ სეზონის დასაწყისია და ყველაფრის გამოსწორება შეიძლება.

ბილიჩის გუნდისთვის ძალიან მნიშვნელოვანი შემდეგი შეხვედრა იქნება, რომელსაც ის საკუთარ მოედანზე მიდლსბროს წინააღმდეგ გამართავს.

## ჯეიმი ვარდიმ არსენალში არწასვლაზე ისაუბრა



ლესტერის ფორვარდმა და შარშანდელი სეზონის ერთ-ერთმა მთავარმა აღმოჩენამ ჯეიმი ვარდიმ იმ მიზეზებზე ისაუბრა, რის გამოც მან არსენალს უარი უთხრა და ლესტერში დარჩენა ამჯობინა.

ვარდის თქმით, არსენალში ბევრი ვარსკვლავი თამაშობს და მათ გვერდით ის უბრალოდ ადგილს ვერ მოძებნიდა.

ჯეიმიმ აღიარა, რომ ლესტერში ის თავს მეფედ გრძნობს, არსენალში კი მხოლოდ რიგითი ფეხბურთელი იქნებოდა.

წლევანდელი სეზონი ვარდისთვის და ლესტერისთვის არცთუ კარგად დაიწყო, თუმცა კლაუდიო რანიერის გუნდი ჩემპიონთა ლიგაში დამაჯერებლად თამაშობს და ორი ტურის შემდეგ ორი მოგება აქვს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. უძველესი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული ძველად საქართველოში; 2. საჭმელი სოკო; 3. ისტორიული ციხე-ქალაქი საგარეჯოს რაიონში; 5. მინერალური წყალი იმერეთში; 6. ზღვის დიდი ათფეხა ჯავშნიანი კიბორჩხალა; 8. თევზების შემსწავლელი მეცნიერება; 10. პოლონელი გრაფი, დიპლომატი, კომპოზიტორი; 12. ზღვის ძუძუმწოვარა ცხოველი; 14. ბუნებრივი ნაკრძალი ქვემო ქართლში; 15. მდინარე ტოკიოში; 16. ნადირთა მფარველი ღვთაება რომაულ მითოლოგიაში.

**თარაზულად:** 1. ესპანური წესით დამზადებული შებოლილი ღორის ხორცი; 4. საქართველოში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის ამერიკული ჯიში; 7. პოემა „სტუმარ-მასპინძლის“ პერსონაჟი; 9. ანგორული თხის მატყლი; 11. სამცხის მმართველთა ტიტული ძველად; 12. კბილის ექიმის ძველებური სახელწოდება; 13. ყველაზე მაღალი ჩანჩქერი მსოფლიოში; 17. პოპულარული პლაჟი ლოს-ანჯელესში; 18. ქალაქი ინდოეთში, სადაც განთავსებულია ტაჯმახალის ტაძარი; 19. კოსმეტიკურ საშუალებათა ძველი ქართული სახელწოდება; 20. მოტოციკლეტების მწარმოებელი იაპონური ფირმა.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**





ლურჯი წითელი ყვითელი შავი